

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ხარისხის პოლიტიკა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მთავარი მიზანია მომხმარებელთა რეალური საჭიროებების დაკმაყოფილება მაღალი ხარისხის სტატისტიკური ინფორმაციით, რომელიც აღწერს ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ, დემოგრაფიულ და გარემოს მდგომარეობას.

თავის საქმიანობაში საქსტატი მაქსიმალურად არის ორიენტირებული საზოგადოების, სახელმწიფოს და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან მაღალი ხარისხის დროულ და აქტუალურ ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სტატისტიკის წარმოების პროცესების და მონაცემების ხარისხის მუდმივი სრულყოფის და გაუმჯობესების მიზნით საქსტატი სისტემატურად განსაზღვრავს სტატისტიკის წარმოების ძლიერ და სუსტ მხარეებს, აფასებს არსებულ რისკებს და განვითარების შესაძლებლობებს. ხარისხის პოლიტიკა საქსტატის განვითარების სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია და ის უზრუნველყოფს გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპების და ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის მოთხოვნების შესრულებას.

საქსტატის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ინსტიტუციური გარემო

- **პროფესიული დამოუკიდებლობა**
ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების წარმოებისას საქსტატი იცავს პროფესიული დამოუკიდებლობის სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს სტატისტიკური მონაცემების სანდოობას.
- **სამართლებრივი საფუძველი**
საქსტატი თავის საქმიანობას წარმართავს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
- **თანამშრომლების სამუშაო გარემოს გაუმჯობესება**
საქსტატი ზრუნავს თანამშრომლების კომპეტენციის გაუმჯობესებაზე და მათთვის, არსებული რესურსების გათვალისწინებით, უკეთესი სამუშაო გარემოს შექმნაზე; ეს ხელს უწყობს თანამშრომელთა კმაყოფილების დონის ამაღლებას და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესებას.
- **პირველადი მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვა**
საქსტატი უზრუნველყოფს რესპონდენტებისგან (იურიდიული და ფიზიკური პირებისგან) მიღებული მონაცემების კონფიდენციალურობას და მათი მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენებას.

სტატისტიკური პროცესები

- **თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდოლოგიები**
სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებისთვის საქსტატი იყენებს თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მეცნიერულად დასაბუთებულ სტატისტიკურ მეთოდოლოგიებს.
- **თანამშრომლობა ოფიციალური სტატისტიკის სფეროში**
ხარისხის გაუმჯობესებისთვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობას. საქსტატი თანამშრომლობს ქვეყნის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან, ბიზნეს და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ცალკეული ქვეყნების სტატისტიკურ სამსახურებთან.
- **თანამშრომლობა ინფორმაციის მომწოდებლებთან (რესპონდენტებთან)**
საქსტატი ცდილობს შეამციროს ინფორმაციის მომწოდებლებზე დატვირთვა მონაცემების შეგროვების თანამედროვე მეთოდების დანერგვით და ადმინისტრაციული მონაცემების გამოყენების გაზრდით.
- **ხარჯთეფექტურობა**
საქსტატი უზრუნველყოფს ოფიციალური სტატისტიკის საწარმოებლად თავისი მატერიალური და ადამიანური რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებას.

მონაცემების გავრცელება

- **მომხმარებლებზე ორიენტირებული ოფიციალური სტატისტიკა**
საქსტატი ცდილობს თავისი პროდუქტები და მომსახურება მომხმარებლებისთვის სულ უფრო ხელმისაწვდომი გახადოს, განსაზღვროს და მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მათი მოლოდინები და ამგვარად სრულად დააკმაყოფილოს ოფიციალურ სტატისტიკაზე მათი მოთხოვნა.
- **პროდუქტებისა და მომსახურების ხარისხი**
საქსტატი ზრუნავს თავისი პროდუქტების და მომსახურების ხარისხზე და ამგვარად აწარმოებს აქტუალურ, ზუსტ, სანდო, დროულ, შესაძარ, ლოგიკურად თანამიმდევრულ სტატისტიკურ მონაცემებს.
- **სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელება**
საქსტატი მუდმივად სრულყოფს ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის და მეტამონაცემების გავრცელების ფორმატებს და ხერხებს.
- **სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**
სტატისტიკური ინფორმაცია ერთნაირად არის ხელმისაწვდომი მომხმარებელთა ყველა კატეგორიისთვის. ფართოდ გავრცელების უზრუნველსაყოფად მას ახლავს მეტამონაცემები და სათანადო განმარტებები.

საქსტატი უზრუნველყოფს ხარისხის მართვის სისტემის შედეგიანობის ამაღლებას და რესურსების გამოყენების ეფექტურობას.

საქსტატი პასუხისმგებელია მოცემული პოლიტიკის განხორციელებასა და საქსტატის ყველა თანამშრომლის მიერ მის მხარდაჭერაზე.